# შპს „გლობალ ვიქტორი ჯეორჯია“-ს

# კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „გლობალ ვიქთორი ჯეორჯია“ - კონსოლიდირებული ანგარიშგება

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| *ქართული ლარი* | *შენიშვნა* | 01.01.2018 | 01.01.2019 | 31.12.2019 |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| ფულადი სახსრები | 3.1 | - | 12 520 673 | 4 923 714 |
| ფულადი სახსრები-შეზღუდული გამოყენების | 3.1 | - | 1 200 000 | 2 000 000 |
| სავაჭრო მოთხოვნები | | - | 221 | 12 242 |
| ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები | | - | 669 | 6 492 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 3.2 | - | - | 303 741 |
| მარაგები | | | 7 130 | 7 521 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | | - | 530 |
| გაცემული მოკლევადიანი სესხები | | | - | - |
| *სულ მოკლევადიანი აქტივები* | | **-** | **13 728 693** | **7 254 239** |
| ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება | 3.3 | - | 5 202 227 | 7 823 869 |
| არამატერიალური აქტივები | | - | 26 226 | 123 154 |
| გუდვილი | | - | 208 887 | 354 194 |
| გაცემული გრძელვადიანი სესხები | 3.4 | - | 3 144 548 | 1 882 311 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | | | - | - |
| *სულ აქტივები* | | **-** | **22 310 581** | **17 437 767** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | | - | 4 629 | 5 674 |
| ვალდებულებები პერსონალის წინაშე | | - | - | 124 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | - | 8 826 | 22 845 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | | - | 1 037 | 1 037 |
| სასესხო ვალდებულებები | 3.5 | - | 14 667 752 | 11 177 214 |
| *სულ მოკლევადიანი ვალდებულებები* | | **-** | **14 682 244** | **11 206 894** |
| საწესდებო კაპიტალი | | - | - | - |
| სააქციო კაპიტალი | | - | - | - |
| პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი | 3.6 | - | 8 443 026 | 8 443 026 |
| დაუფარავი ზარალი | | - | (832 284) | (2 228 345) |
| არამაკონტროლებლის წილი | | - | 17 595 | 16 192 |
| *სულ კაპიტალი და ვალდებულებები* | | **-** | **22 310 581** | **17 437 767** |

კახა ამისულაშვილი
დირექტორი

მარინა გეთია
მთავარი ბუღალტერი

შპს „გლობალ ვიქთორი ჯეორჯია" - კონსოლიდირებული ანგარიშგება

## საქმიანობის შედეგები

| *ქართული ლარი* | შენიშვნა | 2 018 | 2 019 |
|---|---|---|---|
| *განგრძობითი ოპერაციები:* | | | |
| ამონაგები | 3.7 | 184 641 | 437 221 |
| რეალიზებული მარაგების თვითღირებულება | | - | (46 865) |
| **საერთო მოგება** | | **184 641** | **390 356** |
| მიწოდებისა და საწარმოო დანიშნულების ხარჯები | 3.8 | (117 636) | (244 193) |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | | (46 900) | (241 865) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (40 342) | (131 311) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 3.9 | (58 874) | (153 065) |
| საპროცენტო შემოსავალი | 3.10 | 217 751 | 460 230 |
| საპროცენტო ხარჯი | 3.11 | (923 539) | (1 228 519) |
| **საოპერაციო (ზარალი)/მოგება** | | **(784 899)** | **(1 148 368)** |
| გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება | | | |
| წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან | | (32 385) | (81 167) |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | | 304 | 9 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | 3.12 | (15 554) | (167 938) |
| **(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **(832 534)** | **(1 397 464)** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | - | - |
| **წლის (ზარალი)/მოგება** | | **(832 534)** | **(1 397 464)** |
| სხვა სრული შემოსავალი | | | - |
| **სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება** | | **(832 534)** | **(1 397 464)** |
| მ.შ. არამაკონტროლებელი წილი | | **(250)** | **(1 403)** |

კახა ამისულაშვილი
დირექტორი

მარინა გეთია
მთავარი ბუღალტერი

შპს „გლობალ ვიქთორი ჯეორჯია“ - კონსოლიდირებული ანგარიშგება

# კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

| ლარი | სააქციო კაპიტალი | პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი | დაგროვილი მოგება (ზარალი) | სულ საკუთარი კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| **ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | - | - | - | - |
| მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში | - | - | (832 534) | (832 534) |
| მესაკუთრეთა შენატანი კაპიტალში | 17 845 | 8 443 026 | - | 8 460 871 |
| **ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მ.შ.:** | ***17 845*** | ***8 443 026*** | ***(832 534)*** | ***7 628 337*** |
| **ჯგუფის პარტნიორებზე** | ***-*** | ***8 443 026*** | ***(832 284)*** | ***7 610 742*** |
| **არამაკონტორლებელ წილზე** | ***17 845*** | ***-*** | ***(250)*** | ***17 595*** |
| მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში | - | - | (1 397 464) | (1 397 464) |
| მესაკუთრეთა შენატანი კაპიტალში | - | - | - | - |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | ***17 845*** | ***8 443 026*** | ***(2 229 998)*** | ***6 230 873*** |
| **ჯგუფის პარტნიორებზე** | ***-*** | ***8 443 026*** | ***(2 228 345)*** | ***6 214 681*** |
| **არამაკონტორლებელ წილზე** | ***17 845*** | ***-*** | ***(1 653)*** | ***16 192*** |

კახა ამისულაშვილი
დირექტორი

მარინა გეთია
მთავარი ბუღალტერი

შპს „გლობალ ვიქთორი ჯეორჯია“ - კონსოლიდირებული ანგარიშგება

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| ლარი | 2 018 | 2 019 |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:** | | |
| მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები | 190 501 | 426 952 |
| გადახდილი გასამრჯელოები | (94 127) | (331 817) |
| გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები | (92 675) | (508 881) |
| გადახდილი გადასახადები | (32 525) | (111 189) |
| სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | 47 565 | 839 894 |
| **საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **18 739** | **314 959** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:** | | |
| ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას | (5 526 124) | (2 035 646) |
| გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა | - | - |
| მიღებული პროცენტები | 88 290 | 306 087 |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **(5 437 834)** | **(1 729 558)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:** | | |
| აქციების ემისია/კაპიტალის ზრდა | 8 443 026 | - |
| სესხის მიღება | 12 887 804 | - |
| მიღებული სესხის გადახდა | (278 212) | (5 923 600) |
| სესხის გაცემა | (2 981 370) | (5 869 213) |
| გაცემული სესხის დაბრუნება | - | 5 951 000 |
| გაცემული დივიდენდები | - | - |
| გადახდილი პროცენტები | (12 526) | (33 403) |
| **საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები** | **18 058 723** | **(5 875 215)** |
| **წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში** | 12 639 628 | (7 289 814) |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის** | **-** | **13 720 673** |
| ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე | 1 081 045 | 492 855 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის** | **13 720 673** | **6 923 714** |

კახა ამისულაშვილი
დირექტორი

მარინა გეთია
მთავარი ბუღალტერი

2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური

ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

## 1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „გლობალ ვიქთორი ჯეორჯია“ (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფი დარეგისტრებულია 2017 წლის 15 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405195408, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ., #15/5, ბინა #2. ჯგუფი დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია არაბთა გაერთიანებულ საემიროებში რეგისტრირებული ჯგუფი GLOBAL VICTORY INVESTMENTS LIMITED IC10460464.

1.3. კომპანიის დირექტორები არიან:

- კახა ამისულაშვილი (პ/ნ 01030006597).
- ზურა კახელაძე (პ/ნ 01007008260)

1.4. კომპანიას ჰყავს შვილობილი საწარმოები:

| შვილობილი ჯგუფი | 2019 წლის 1 იანვრისთვის ფლობილი წილი, % | 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, % |
|---|---:|---:|
| სს „კურორტი ახტალა“ 227720883 | 99.5% | 99.5% |
| შპს „ჯიენდი“ 402049680 | 0% | 100% |
| შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა“ 405352363 | 0% | 100% |

1.5. კომპანია თავის შვილობილ საწარმოებთან ერთად ქმნის წინამდებარე ანგარიშგების წარმდგენ ჯგუფს. ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ქონების იჯარით გადაცემა, დასასვენებელი და სამკურნალო კურორტებისათვის დამახასიათებელი საქმიანობები და ფინანსური ოპერაციები (სესხის გაცემა) რესტორნების, სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების მოწყობა-განვითარების მიზნით.

1.6. ჯგუფს ჰყავს მეკავშირე საწარმო - GLOBAL VICTORY AFRICA INVESTMENTS (PROPRIETARY) LIMITED, რომელიც რეგისტრირებულია ნამიბიაში ამავე ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

1.7. ჯგუფის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის ჯგუფს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და

საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება. რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით). ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. 2018-2019 წწ. პეიროდში ჯგუფის მიერ მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიცია ნულის ტოლია, ხოლო ამავე პერიოდში მეკავშირე საწარმოებისგან შემოსავალი (მ.შ. დივიდენდის სახით) ჯგუფს არ მიუღია.

მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილ გადასახადებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებს. სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის

შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ხარჯების აღიარება

ჯგუფი გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის

თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ ჯგუფს გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-4 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების

გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. ჯგუფის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის" შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა), არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

## 3. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

### 3.1. ფულადი სახსრები:

| ლარი | 01.01.2019 | 31.12.2019 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული | 1 340 | 10 319 |
| ფულადი სახსრები ბანკებში | 12 519 333 | 4 913 395 |
| ფულადი სახსრები საგარანტიო ვალდებულების უზრუნველსაყოფად | 1 200 000 | 2 000 000 |
| **სულ ფულადი სახსრები** | **13 720 673** | **6 923 714** |

### 3.2. წინასწარ გადახდილი გადასახადები

| ლარი | 01.01.2019 | 31.12.2019 |
|---|---|---|
| წინასწარ გადახდილი დღგ | - | 303 741 |
| **სულ წინასწარ გადახდილი გადასახადი** | - | **303 741** |

## 3.3. ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და არამატერიალური აქტივები

| ლარი | მიწის ნაკვეთები | დაუმთავრებელი მშენებლობა | შენობა-ნაგებობები | მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები | ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | სატრანსპორტო საშუალებები | სხვა ამორტიზებადი ძ.ს. | საინვესტიციო ქონება (თვითღირებულებით) | არამატერიალური აქტივები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ისტორიული ღირებულება* | | | | | | | | | | |
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | **2 014 120** | **1 648 000** | **1 421 509** | **108 456** | **4 570** | **48 893** | **121 250** | **-** | **29 038** | **5 395 836** |
| შესყიდვები | 780 802 | 595 877 | 40 222 | 2 307 | 13 057 | 51 360 | - | 1 414 092 | 101 516 | 2 999 234 |
| გასვლები | - | - | (159 525) | - | - | - | - | - | - | (159 525) |
| **ისტორიული ღირებულების ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **2 794 922** | **2 243 877** | **1 302 206** | **110 763** | **17 627** | **100 253** | **121 250** | **1 414 092** | **130 554** | **8 235 545** |
| *ცვეთა* | | | | | | | | | | |
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | - | - | **(114 463)** | **(36 370)** | **(1 599)** | **(1 528)** | **(10 610)** | - | **(2 812)** | **(167 382)** |
| ცვეთა წლის განმავლობაში | - | - | (63 348) | (21 965) | (2 466) | (7 824) | (6 063) | (25053) | (4 589) | (131 311) |
| გასვლები | - | - | 10 171 | - | - | - | - | - | - | 10 171 |
| **ცვეთის ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **-** | **-** | **(167 640)** | **(58 335)** | **(4 065)** | **(9 351)** | **(16 673)** | **(25 057)** | **(7 401)** | **(288 522)** |
| *წმინდა საბალანსო ღირებულება* | | | | | | | | | | |
| **2019 წლის 1 იანვარს** | **2 014 120** | **1 648 000** | **1 307 046** | **72 086** | **2 971** | **47 365** | **110 640** | **-** | **26 226** | **5 228 454** |
| **2019 წლის 31 დეკემბერს** | **2 794 922** | **2 243 877** | **1 134 566** | **52 428** | **13 562** | **90 901** | **104 578** | **1 389 036** | **123 154** | **7 947 023** |

## 3.4. გაცემული გრძელვადიანი სესხები

| ლარი | 01.01.2019 | 31.12.2019 |
|---|---|---|
| გაცემული გრძელვადიანი სესხები - ეროვნული ვალუტით | 1 932 871 | 420 423 |
| გაცემული გრძელვადიანი სესხები - უცხოური ვალუტით | 1 211 677 | 1 461 888 |
| **სულ გაცემული სესხები** | **3 144 548** | **1 882 311** |

**მსესხებლების, სესხის პიროებებისა და ვადების შესახებ ინფორმაცია შემდეგია:**

| მსესხებელი | ვალუტა | ნომინალური საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის წელი | საბალანსო ღირებულება (ლარი) | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **1 იანვარი 2018** | **31 დეკემბერი 2018** | **31 დეკემბერი 2019** |
| შპს „ეიჩ ეფ სი ჯორჯია“ | USD | 8.1% | 2028 | 0 | 1 211 677 | 1 461 888 |
| შპს „ეიჩ ეფ სი ჯორჯია“ | GEL | 10.9% | 2028 | 0 | - | 420 423 |
| შპს „ჯიენდი“ | GEL | 11.3% | 2028 | 0 | 1 932 871 | - |
| **სულ:** | | | | **0** | **3 144 548** | **1 882 311** |

## 3.5. სასესხო ვალდებულებები

| ლარი | 01.01.2019 | 31.12.2019 |
|---|---|---|
| გრძელვადიანი სესხის ძირითადი თანხა | 13 756 740 | 9 461 229 |
| გრძელვადიან სესხზე გადასახდელი პროცენტი | 911 013 | 1 715 985 |
| **სულ სასესხო ვალდებულებები** | **14 667 752** | **11 177 214** |

**გამსესხებლების, სესხის პიროებებისა და ვადების შესახებ ინფორმაცია შემდეგია:**

| გამსესხებელი | ვალუტა | ნომინალური საპროცენტო განაკვეთი | დაფარვის წელი | საბალანსო ღირებულება (ლარი) | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **1 იანვარი 2018** | **31 დეკემბერი 2018** | **31 დეკემბერი 2019** |
| მარიამ ხიდაშელი | USD | 1.0% | 2028 | 0 | 5 184 261 | 11 177 214 |
| დავით ხიდაშელი | USD | 1.0% | 2019 | 0 | 9 483 492 | - |
| **სულ:** | | | | **0** | **14 667 752** | **11 177 214** |

## 3.6. პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი

ჯგუფის სადამფუძნებლო კაპიტალი განისაზღვრა როგორც ნული ლარი, თუმცა 2018 წელს ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარის მიერ განხორციელდა დამატებითი კონტრიბუცია კაპიტალში.

## 3.7. ამონაგები

| ლარი | 2018 | 2019 |
|---|---|---|
| შემოსავლები საიჯარე მომსახურებიდან | - | 9 735 |
| შემოსავლები კურორტის ფუნქციონირებიდან | 184 641 | 427 486 |
| **სულ შემოსავალი** | **184 641** | **437 221** |

## 3.8. მიწოდებისა და საწარმოო დანიშნულების ხარჯები

| ლარი | 2018 | 2019 |
|---|---|---|
| პირდაპირი ხელფასი | 73 396 | 152 069 |
| პირდაპირი სახარჯი მასალის ხარჯი | 26 986 | 59 441 |
| პირდაპირი კომუნალური ხარჯები | 12 316 | 21 921 |
| რეკლამის ხარჯი | 1 552 | 3 770 |
| მიწოდების სხვა ხარჯი | 3 386 | 6 991 |
| **სულ მიწოდებისა და საწარმოო დანიშნულების ხარჯები** | **117 636** | **244 193** |

## 3.9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

| ლარი | 2018 | 2019 |
|---|---|---|
| მივლინების ხარჯი | 25 | 4 881 |
| მცირეფასიანი ინვენტარი და სხვა საოფისე ხარჯი | - | 12 995 |
| კომუნიკაციის ხარჯი | 3 640 | 5 545 |
| კომუნალური ხარჯი | 720 | 1 471 |
| იჯარის ხარჯი | 2 350 | 10 442 |
| დაცვის ხარჯი | - | 373 |
| საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება | 9 942 | 27 252 |
| საწვავის ხარჯი | 2 580 | 19 801 |
| საგადასახადო ხარჯი | 8 628 | 41 179 |
| საბანკო ხარჯი | 23 069 | 10 974 |
| საერთო დანიშნულების ძ.ს. ექსპლუატაცია | 2 435 | 4 249 |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | 3 181 | 2 092 |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი | 2 304 | 11 813 |
| **სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი** | **58 874** | **153 065** |

## 3.10. საპროცენტო შემოსავალი

| ლარი | 2018 | 2019 |
|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი არალიცენზ. ინსტიტუტებიდან | 129 461 | 253 776 |
| საპროცენტო შემოსავალი ლიცენზ. ინსტიტუტებიდან | 88 290 | 206 454 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი** | **217 751** | **460 230** |

3.11. საპროცენტო დანახარჯები:

| ლარი | 2018 | 2019 |
|---|---|---|
| საპროცენტო ხარჯი არალიცენზ. ინსტიტუტებიდან | 911 013 | 1 188 497 |
| საპროცენტო ხარჯი ლიცენზ. ინსტიტუტებიდან | 12 526 | 40 022 |
| **სულ საპროცენტო ხარჯი** | **923 539** | **1 228 519** |

3.12. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

| ლარი | 2018 | 2019 |
|---|---|---|
| არასაოპერაციო ზარალი ძირ. საშუალებების გასვლიდან | 10 233 | 166 696 |
| გადახდილი ჯარიმები და საურავები | 7 | 631 |
| უიმედო ვალების ხარჯი | 1 200 | - |
| საქველმოქმედო ხარჯი | 495 | - |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | 3 618 | 611 |
| **სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი** | **15 554** | **167 938** |

3.13. სხვა საყურადღებო გარემოებები

კომპანიამ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან" აუქციონის გზით 2018 წლის 30 ივლისს 3,760,000 ლარად შეიძინა სს „კურორტი ახტალას" (ს/ნ 227720883) აქციების 99,54808%. ამ ხელშეკრულებით კომპანიას ევალება ხელშეკრულების დადებიდან 48 თვეში არანაკლებ 12 (თორმეტი) მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება - კერძოდ სს „კურორტი ახტალას" კუთვნილ ტერიტორიაზე სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. კომპანიამ ამ ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით წარადგინა 1,2 მილიონი ლარის საბანკო გარანტია.

აგრეთვე, ჯგუფში შემავალმა საწარმომ, შპს „ჯიენდიმ", 2018 წლის 30 აპრილს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან" მიიღო აუქციონის გზით 1,003,000 ლარად შეძენილი ქონება, კერძოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიბანში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე მდგომი შენობა-ნაგებობებითურთ. ამ ხელშეკრულებით საწარმოს ევალება ხელშეკრულების დადებიდან 48 თვეში არანაკლებ 8 (რვა) მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება - კერძოდ შეძენილი უძრავი ქონების ტერიტორიაზე სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. საწარმომ ამ ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით წარადგინა 800 000 (რვაასი ათასი) ლარის საბანკო გარანტია.

ორივე ზემოხსენებული ხელშეკრულება აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ითვალისწინებს გარკვეულ ფინანსურ სანქციებს, თუმცა ჯგუფის მენეჯმენტის მოსაზრებით არ არსებობს რაიმე გარემოება, რომელიც წარმოშობს მომავალში ამ საფუძვლით ჯგუფის დაჯარიმების რისკს.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს.

შპს „გლობალ ვიქთორი ჯეორჯია" - კონსოლიდირებული ანგარიშგება

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| *ქართული ლარი* | *შენიშვნა* | *01.01.2018* | *01.01.2019* | *31.12.2019* |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| ფულადი სახსრები | 3.1 | - | 12 520 673 | 4 923 714 |
| ფულადი სახსრები-შეზღუდული გამოყენების | 3.1 | - | 1 200 000 | 2 000 000 |
| სავაჭრო მოთხოვნები | | - | 221 | 12 242 |
| ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები | | - | 669 | 6 492 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 3.2 | - | - | 303 741 |
| მარაგები | | | 7 130 | 7 521 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | | - | 530 |
| გაცემული მოკლევადიანი სესხები | | | - | - |
| ***სულ მოკლევადიანი აქტივები*** | | **-** | **13 728 693** | **7 254 239** |
| ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება | 3.3 | - | 5 202 227 | 7 823 869 |
| არამატერიალური აქტივები | | - | 26 226 | 123 154 |
| გუდვილი | | - | 208 887 | 354 194 |
| გაცემული გრძელვადიანი სესხები | 3.4 | - | 3 144 548 | 1 882 311 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | | | - | - |
| ***სულ აქტივები*** | | **-** | **22 310 581** | **17 437 767** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | | - | 4 629 | 5 674 |
| ვალდებულებები პერსონალის წინაშე | | - | - | 124 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | - | 8 826 | 22 845 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | | - | 1 037 | 1 037 |
| სასესხო ვალდებულებები | 3.5 | - | 14 667 752 | 11 177 214 |
| ***სულ მოკლევადიანი ვალდებულებები*** | | **-** | **14 682 244** | **11 206 894** |
| საწესდებო კაპიტალი | | - | - | - |
| სააქციო კაპიტალი | | - | - | - |
| პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი | 3.6 | - | 8 443 026 | 8 443 026 |
| დაუფარავი ზარალი | | - | (832 284) | (2 228 345) |
| არამაკონტროლებლის წილი | | - | 17 595 | 16 192 |
| ***სულ კაპიტალი და ვალდებულებები*** | | **-** | **22 310 581** | **17 437 767** |

კახა ამისულაშვილი
დირექტორი

მარინა გეთია
მთავარი ბუღალტერი

შპს „გლობალ ვიქთორი ჯეორჯია“ - კონსოლიდირებული ანგარიშგება

## საქმიანობის შედეგები

| *ქართული ლარი* | შენიშვნა | 2 018 | 2 019 |
|---|---|---|---|
| ***განგრძობითი ოპერაციები:*** | | | |
| ამონაგები | 3.7 | 184 641 | 437 221 |
| რეალიზებული მარაგების თვითღირებულება | | - | (46 865) |
| **საერთო მოგება** | | **184 641** | **390 356** |
| მიწოდებისა და საწარმოო დანიშნულების ხარჯები | 3.8 | (117 636) | (244 193) |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | | (46 900) | (241 865) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (40 342) | (131 311) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 3.9 | (58 874) | (153 065) |
| საპროცენტო შემოსავალი | 3.10 | 217 751 | 460 230 |
| საპროცენტო ხარჯი | 3.11 | (923 539) | (1 228 519) |
| **საოპერაციო (ზარალი)/მოგება** | | **(784 899)** | **(1 148 368)** |
| გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება | | | |
| წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან | | (32 385) | (81 167) |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | | 304 | 9 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | 3.12 | (15 554) | (167 938) |
| **(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **(832 534)** | **(1 397 464)** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | - | - |
| **წლის (ზარალი)/მოგება** | | **(832 534)** | **(1 397 464)** |
| სხვა სრული შემოსავალი | | | - |
| **სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება** | | **(832 534)** | **(1 397 464)** |
| მ.შ. არამაკონტროლებელი წილი | | **(250)** | **(1 403)** |

კახა ამისულაშვილი

მარინა გეთია

GVG
შპს "გლობალ ვიქთორი ჯეორჯია"
"GLOBAL VICTORY GEORGIA" LLC
405195408

# კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

| ლარი | სააქციო კაპიტალი | პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი | დაგროვილი მოგება (ზარალი) | სულ საკუთარი კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| **ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | - | - | - | - |
| მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში | - | - | (832 534) | (832 534) |
| მესაკუთრეთა შენატანი კაპიტალში | 17 845 | 8 443 026 | - | 8 460 871 |
| **ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მ.შ.:** | ***17 845*** | ***8 443 026*** | ***(832 534)*** | ***7 628 337*** |
| **ჯგუფის პარტნიორებზე** | ***-*** | ***8 443 026*** | ***(832 284)*** | ***7 610 742*** |
| **არამაკონტროლებელ წილზე** | ***17 845*** | ***-*** | ***(250)*** | ***17 595*** |
| მოგება (ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში | - | - | (1 397 464) | (1 397 464) |
| მესაკუთრეთა შენატანი კაპიტალში | - | - | - | - |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | ***17 845*** | ***8 443 026*** | ***(2 229 998)*** | ***6 230 873*** |
| **ჯგუფის პარტნიორებზე** | ***-*** | ***8 443 026*** | ***(2 228 345)*** | ***6 214 681*** |
| **არამაკონტროლებელ წილზე** | ***17 845*** | ***-*** | ***(1 653)*** | ***16 192*** |

კახა ამისულაშვილი
დირექტორი

მარინა გეთია
მთავარი ბუღალტერი

შპს „გლობალ ვიქტორი ჯეორჯია“ - კონსოლიდირებული ანგარიშგება

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| ლარი | 2 018 | 2 019 |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:** | | |
| მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები | 190 501 | 426 952 |
| გადახდილი გასამრჯელოები | (94 127) | (331 817) |
| გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები | (92 675) | (508 881) |
| გადახდილი გადასახადები | (32 525) | (111 189) |
| სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | 47 565 | 839 894 |
| **საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **18 739** | **314 959** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:** | | |
| ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას | (5 526 124) | (2 035 646) |
| გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა | - | - |
| მიღებული პროცენტები | 88 290 | 306 087 |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **(5 437 834)** | **(1 729 558)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:** | | |
| აქციების ემისია/კაპიტალის ზრდა | 8 443 026 | - |
| სესხის მიღება | 12 887 804 | - |
| მიღებული სესხის გადახდა | (278 212) | (5 923 600) |
| სესხის გაცემა | (2 981 370) | (5 869 213) |
| გაცემული სესხის დაბრუნება | - | 5 951 000 |
| გაცემული დივიდენდები | - | - |
| გადახდილი პროცენტები | (12 526) | (33 403) |
| **საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები** | **18 058 723** | **(5 875 215)** |
| **წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში** | 12 639 628 | (7 289 814) |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის** | - | **13 720 673** |
| ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე | 1 081 045 | 492 855 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის** | **13 720 673** | **6 923 714** |

კახა ამისულაშვილი
დირექტორი

მარინა გეთია
მთავარი ბუღალტერი

შპს „გლობალ ვიქტორი ჯეორჯია“ * "GLOBAL VICTORY GEORGIA" LLC * GVG 405195408